

Erasmus+

სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის თანამშრომელთა მობილობა სწავლების მიზნით, ლუბლინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში

2022 წლის 6 – 10 ივნისს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფ. ლილი პეტრიაშვილი და ასოც. პროფ. ნინო თოფურია სტუმრობდნენ პოლონეთის ლუბლინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, სადაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის კოორდინატორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ თანამშრომელთა საერთაშორისო კვირეულში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის ისტორიას ითვლის და პოლონეთში ის მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით, სამეცნიერო კვლევითი ცენტრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით გამოირჩევა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ექვსი ფაკულტეტი, მათ შორის ელექტროინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერების.


სამუშაო ვიზიტის პირველ დღეს სახვა ქვეყნებიდან ჩამოსულ კოლეგებთან ერთად, ქართველი პროფესორები შეხვდნენ მასპინძელი უნივერსიტეტის Erasmus+ - ის ოფისის წარმომადგენლებს, სადაც წარადგინეს პრეზენტაცია თავიანთი უნივერსიტეტების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდა ელექტროინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერების



ფაკულტეტის პროფ. ანდრეი სმოლარჟი, რომელიც, ასევე, არის ელექტროინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელი. შემდგომი კოლაბორაციის მიზნით, ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა პროფ. სმოლარჟს მიაწოდეს ინფორმაცია ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და აკადემიური საქმიანობის შესახებ.

7 ივნისს Erasmus+ ოფისის წარმომადგენელთან ერთად, კვირეულის მონაწილეებმა დაათვალიერეს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ მულტიმედია სტუდია, თუ როგორ მაუწყებლობს ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ტელევიზიის Youtube არხი.



კვირეულის თითოეული მონაწილე ჩაწერეს სარეკლამო კლიპისთვის, სადაც მათ უნდა დაეხასიათებინათ პოლონელი ხალხი, ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და წარმოედგინათ ნაციონალური კერძების რეცეპტები, ასევე, პოლონურ ენაზე, ერთი წინადადებით, დაეხასიათებინათ ლუბლინის უნივერსიტეტი, რაც ბევრი უცხოელისთვის რთული წარმოსათქმელი აღმოჩნდა, მაგრამ იყო ძალიან სახალისო და სასაცილო, როგორც სტუმრებისთვის, ისე მასპინძლებისთვის.

ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლების თხოვნით, პოლონელმა კოლეგებმა ორგანიზება გაუკეთეს სამუშაო შეხვედრას ფაკულტეტის დეკანთან და პროფესორებთან, გარდა იმ სამეცნიერო პედაგოგიური აქტივობისა, რაც ხორციელდება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე, ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორებმა პოლონელ კოლეგებს გააცნეს ახალი საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“, რომელიც მზადდებოდა აკრედიტაციისთვის. მათ გამოხატეს ინტერესი და გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი ახალი პროგრამის ფარგლებში.



შესაბამისად, მხარდაჭერა ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით დაგვიდასტურეს და მოგვცეს რეკომენდაცია პროგრამის აკრედიტებისთვის.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა ლუბლინის უნივერსიტეტის ვიცე რექტორთან, ქალბატონ ბეატა



კიჟაკ-მიტურასთან და ელექტროინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის დეკანთან. ვიცე რექტორმა საზეიმოდ გადასცა რექტორის მიერ ხელმოწერილი მხარდაჭერის წერილი. შედგა სიტყვიერი შეთანხმებაც, რომ მომდევნო სასწავლო წელს პოლონელი კოლეგები ლექციებს წაუკითხავენ ჩვენს სტუდენტებს და, ასევე, დეკემბერში ქართული პროფესორები მიიწვიეს სალექციო კურსების წასაკითხად.

კვირეულის მონაწილეებმა, ასევე, გაიარეს პოლონური ენის სახალისო მოკლე კურსი და დაათვალიერეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული საწავლო რესურსები.

ლონისძიების პროგრამა ითვალისწინებდა მონაწილეების მხრიდან საკუთარი ქვეყნის, მისი კულტურის წარმოდგენას და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმაც კვირეულის მონაწილეებს გააცნეს ჩვენი ქვეყნის კულტურა და სამზარეულო.

საერთაშორისო კვირეულის დასარულს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.





Lublin, Poland, 4th June 2022

Dear Professor Lily Petrlashvili,

At the Lublin University of Technology Faculty of Electrical Engineering and Computer Science we have reviewed your curriculum for bachelor students in Computer Science as described on the document bachelor program in computer science (4 years, 240 ECTS)*. In general, the program in terms of structure and content is relevant and meets international standards for higher education.

We believe that this program reflects the market demands in the field of information and communication technologies. The main and elective special courses of the program include sub-fields such as information systems and technologies, natural sciences, artificial intelligence, data protection, agile development of application-software packages, big-data processing, grid technology, machine learning, and other.

The successful graduate of the program, in our opinion, will be successfully employed not only in Georgia, but also abroad in various fields of industry, to conduct scientific research activities or as a computer-science teaching in higher education. The program presented by the LUT fully meets this goal. We shall be very pleased to extend our present collaboration to above needs.

We are happy to support the program and hope that our future cooperation as academic and scientific collaboration shall be very successful.

RECTOR
Lublin University of Technology

Prof. Zbigniew Pater